სოფლის მეურნეობის სიახლეები - საქართველო

ENPARD III საპროექტო სტადიაზეა

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ევროპის სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების (ENPARD) სამეზობლო პროგრამის მესამე ეტაპი „მზადდება“. ENPARD III-ის ბიუჯეტი შეადგენს 78 მილიონ ევროს, აცხადებენ სამინისტროში. ENPARD III ამოქმედდება მიმდინარე ENPARD II-ის დასრულების შემდეგ, აღნიშნავენ სამინისტროში. ENPARD-თან დაკავშირებული საკითხები განიხილეს გაფართოებულ სხდომაზე, სადაც მოხდა ENPARD I-ის შეჯამება და ENPARD II-ის მიმდინარეობის განხილვა, აცხადებენ სამინისტროში.

Sarke Information News, 1 ნოემბერი, 2016

ევროკავშირი განსაზღვრავს აკრძალული ნივთიერებების სიას ქართული თაფლისთვის წლის ბოლომდე

სტატიაში აღნიშნულია, რომ ბევრი სხვა ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისგან განსხვავებით, ქართულ თაფლს დიდი შანსი აქვს, რომ მოხვდეს ევროკავშირის ბაზარზე. ევროპის კომისიამ საქართველო იმ მესამე ქვეყნების სიაში შეიტანა, საიდანაც თაფლის ექსპორტი დასაშვებია. პროცედურების შესაბამისად მოსალოდნელია, რომ საქართველო ოფიციალურად შევა ამ მესამე ქვეყნების სიაში წლის ბოლომდე. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი მზად არის გახსნას ბაზარი ქართული თაფლისთვის, ადგილობრივი მეწარმეების წინაშე კიდევ ერთი გამოწვევა დგას - საიმედო ლაბორატორიული ტესტები, ნათქვამია სტატიაში. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის ხელმძღვანელი ირაკლი გულედანი აცხადებს, რომ მას შემდეგ, რაც საქართველო მოხვდება იმ ქვეყნების განახლებულ სიაში, რომლებიც აწარმოებენ ექსპორტს ევროკავშირში, სრული ინფორმაცია თაფლის ექსპორტისთვის საჭირო ტესტების შესახებ აუცილებლად დაიბეჭდება და დაიწყება მუშაობა მოთხოვნილ პარამეტრებზე. „ჩვენ დაახლოებით ვიცით, რომ დაახლოებით 300 დასახელების პესტიციდი და 200 ანტიბიოტიკი უნდა დაინერგოს", აღნიშნავს ის. გულედანი ხაზს უსვამს: „ევროპა არ განიხილავს თაფლს ანტიბიოტიკების შემცველობით. მაგრამ პირველ რიგში უნდა შემუშავდეს დოკუმენტი, თუ რომელ ანტიბიოტიკებს სჭირდება ტესტირება". „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ დავნერგეთ ხარისხობრივი მაჩვენებლები, ჩვენ შემოვიღეთ ტესტები ლევომიცეტინზე და ტეტრაციკლინის ჯგუფის პრეპარატებზე უსაფრთხოების პარამეტრებს შორის", აღნიშნავს ის. ამავე დროს, ფერმერები რეგიონებში ნაკლებად ინფორმირებული არიან და კვლავ ვრცელდება „მოძველებული“, ნაკლებად ეფექტური და უსაფრთხოების თვალსაზრისით ნაკლებად საიმედო მეთოდები, ნათქვამია სტატიაში (გამოქვეყნდა 1 ნოემბერს).

Sarke Information News, 2 ნოემბერი, 2016

სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტი წლიური 11,5%-ით გაიზარდა

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, 1 იანვრიდან 23 ოქტომბრის ჩათვლით, საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტის მოცულობამ 524,5 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. 2015 წლის ამავე პერიოდთან შედარებით მოცულობა 11,5%-ით გაიზარდა, აცხადებენ სამინისტროში. ამასთან, ღვინის ექსპორტმა შეადგინა 83,6 მილიონი აშშ დოლარი, წლიური ზრდა 13,1%-ია, ხოლო ალკოჰოლური სასმელების ექსპორტზე - 68,5 მილიონი აშშ დოლარი (ზრდა - 33,7%). მეცხოველეობის ექსპორტი გაიზარდა 80%-ით და შეადგინა 29,6 მილიონი აშშ დოლარი, თევზის ფქვილის - 133%-ით, რაც 14,8 მლნ აშშ დოლარია. საანგარიშო პერიოდში საქართველომ მიაწოდა სოფლის მეურნეობის პროდუქცია 87 ქვეყანაში, ხოლო ერთი წლის წინ - 76 ქვეყანაში.

Sarke Information News, 25 *ოქტომბერი, 2016*

ქართული ღვინის კულტურისა და ისტორიის სწავლება დაიწყება პოლონეთის ღვინის აკადემიის სკოლაში

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განაცხადა, რომ ქართული ღვინის კულტურის და ისტორიის სწავლება დაიწყება ღვინის აკადემიის სკოლაში პოლონეთში. სამინისტროს განცხადებით, საქართველოს ღვინის ეროვნულმა სააგენტომ და პოლონეთის მევენახეობის განვითარების ფონდმა (Galicja Vitis) ხელი მოაწერეს შესაბამის მემორანდუმს თბილისში. ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი სამანიშვილის განცხადებით „პოლონეთი არის ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ბაზარი და, ზოგადად, ქართულ ღვინოს აქვს დიდი პოტენციალი“ პოლონეთში. „გარდა ამისა, ღვინის ტურიზმი პოლონეთიდან იზრდება წლიდან წლამდე“, აღნიშნა მან. სააგენტოს ცნობით პოლონეთი საქართველოს ღვინის ექსპორტის ბაზრების ხუთეულის წევრია. ამ წლის 9 თვის განმავლობაში 1,6 მილიონ ბოთლზე მეტი ღვინის ექსპორტი განხორციელდა ამ ქვეყანაში, რაც წლიური 47%-იანი ზრდაა. თავის მხრივ, პოლონელი ენოლოგი ვოიცეკ ბოსაკი აცხადებს, რომ არსებობს ქართული ღვინის მაღაზიების და რესტორნების ფართო არჩევანი პოლონეთში, ხოლო ზოგიერთმა პოლონელმა მეღვინეებმა დაიწყეს ღვინის წარმოება კახური მეთოდით, აღნიშნეს სამინისტროში.

Sarke Information News, 24 ოქტომბერი, 2016

სასოფლო-სამეურნეო ბაზრობის პავილიონები გაიხსნა სოფელ რუისის ახლოს

„ქართუ ფონდი“ აცხადებს, რომ ასოციაციამ „ატუ“ ააშენა სოფლის მეურნეობის ბაზრობის პავილიონები აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის (E60) გასწვრივ ქარელის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლი). პროექტი განხორციელდა „ქართუს“ განკარგულებით, მისი ღირებულება არ სახელდება. როგორც ფონდში აღნიშნეს დაურეგულირებელი გარე სასოფლო-სამეურნეო ვაჭრობა მიმდინარეობდა მრავალი წლის განმავლობაში გზის აღნიშნული ტერიტორიიდან სახიფათოდ ახლოს. „ქართუმ“, რომელიც დაფუძნებულია ექს-პრემიერის ბიძინა ივანიშვილის მიერ, გადასცა სასოფლო-სამეურნეო ბაზრობის პავილიონები საჩუქრად ქარელის მუნიციპალიტეტს, რომელიც დააარეგულირებს კომპლექსის საქმიანობას.

Sarke Information News, *21 ოქტომბერი, 2016*

თანამშრომლობის გაღრმავება ჩაის მრეწველობის დარგში განიხილება ჩინურ მხარესთან

საქართველოს საპარტნიორო ფონდის განცხადებით, თანამშრომლობის გაღრმავება ჩაის მრეწველობის დარგში განხილულ იქნა შეხვედრაზე ჩინური კომპანიების წარმომადგენლებთან. ჩინურმა მხარემ გააცნო ფონდის მენეჯმენტს „მაღალბიუჯეტიანი ბიზნეს-გეგმა ჩაის წარმოების კომპლექსური ინდუსტრიული ზონის შესახებ და საინვესტიციო შეთავაზების დეტალები“, განაცხადეს ფონდში. ჩინელი ინვესტორების მიერ წარმოდგენილი კომპლექსური პროექტი შედგება რამდენიმე ნაწილისგან და ითვალისწინებს ჩაის პლანტაციების და ჩაის წარმოების ზრდას საქართველოში, ჩაის მრეწველობის და ეკოტურიზმის განვითარებას. მაისში საქართველოს საპარტნიორო ფონდმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და ჩინურმა კომპანიებმა Beijing Jinfenghengye Agricultural Development Co. და Xinjiang Hualing & Trade (Group) Co. ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს ჩაის მრეწველობის განვითარების სფეროში საქართველოში.

Sarke Information News, *19 ოქტომბერი, 2016*

ხილის გადამამუშავებელი საწარმო გაიხსნა დუშეთში

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით ხილის გადამამუშავებელი საწარმო „იბერია ხილი“ გაიხსნა სოფელ ჟინვალში (დუშეთის რაიონი, მცხეთა-მთიანეთის რეგიონი). როგორც სამინისტროში აღნიშნეს, კომპანია სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროგრამის ბენეფიციარია. საწარმო დაფინანსებულია USAID-ის (სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენა) და სოფლის მეურნეობის პროექტების

მართვის სააგენტოს ერთობლივი პროექტის ფარგლებში, აცხადებენ სამინისტროში. სამინისტროს განცხადებით, ინვესტიციების საერთო რაოდენობა 230 000 აშშ დოლარია, საიდანაც 92 000 მოზიდულია გრანტის სახით, 85 000 - შეღავათიანი აგროსესხია, ხოლო 30 000 – REAP-ის გრანტი, დანარჩენი 23 მილიონი აშშ დოლარი არის კომპანიის მესაკუთრეთა თანამონაწილეობით. საწარმოში დასაქმებულია 14 ადამიანი. კომპანია გეგმავს აწარმოოს ყოველწლიურად 114 ტონა ხილის პროდუქცია და ხილის ჩაის ნარევი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების (გარეული ვაშლი, ასკილი და ა.შ.) გადამუშავების მეშვეობით. პროდუქცია გაიყიდება ადგილობრივ ბაზარზე, ხოლო ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში იგეგმება უახლოეს მომავალში, აცხადებენ სამინისტროში. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, შპს „იბერია ხილი“ დარეგისტრირდა 2014 წლის ივნისში თბილისში. მისი მფლობელები თანაბარი აქციებით არიან კოტე ხუციძე და ლევან მელუა.
Sarke Information News, 28 *სექტემბერი, 2016*

ალკოჰოლური სასმელების ქარხანა აშენდება რუსთავში
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში განაცხადეს, რომ შპს „ქართული არყის კომპანია“ ააშენებს ალკოჰოლური სასმელების ქარხანას რუსთავში. სამინისტროს განცხადებით კომპანიამ უნდა მოახდინოს ჯამში 650 000 ლარის ინვესტირება და დაასაქმოს არანაკლებ 20 ადამიანი ქარხანაში. პირველ ეტაპზე კომპანია გეგმავს 2 მილიონი ბოთლი (0,5 ლ) არყის რეალიზაციას. ეს ციფრი გაიზრდება 3-5 წლის განმავლობაში 3-4 მლნ ბოთლამდე და მოიცავს მეზობელ ბაზრებს (უკრაინა, აზერბაიჯანი, ბელარუსი), განაცხადეს სამინისტროში.
Sarke Information News, *30 სექტემბერი, 2016*

ორგანულ-მინერალური სასუქების ქარხანა ამოქმედდა კასპში
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ცნობით, რომ GeoFert-ის „მაღალტექნოლოგიური მიკრობიოლოგიური საწარმო აწარმოებს ეკოლოგიურად სუფთა ბაქტერიულ ორგანულ-მინერალურ სასუქებს“. საწარმოს უჭირავს 12 000 კვადრატული მეტრი კასპში (შიდა ქართლი, აშენდა 8 თვის განმავლობაში), ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში. სამინისტროს ცნობით ქარხნის მშენებლობა კასპში გამოწვეული იყო თეძამის უნიკალური ბუნებრივი მინერალის ცეოლითის საბადოს ახლო მდებარეობით. ქარხანაში ამჟამად დასაქმებულია 120 ადამიანი და ეს რიცხვი გაიზრდება მალე 250-მდე, ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში. წარმოება ორიენტირებულია როგორც ადგილობრივ, ისე საექსპორტო ბაზრებზე. სამინისტროს განცხადებით, GeoFert-მა მიიღო გრძელვადიანი სესხი 5,6 მილიონი აშშ დოლარი „ქართუ ბანკი“-დან. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, შპს GeoFert რეგისტრირებული იყო თბილისში 2014 წლის დეკემბერში. კომპანიის 51%-ის მფლობელია Limestone Finance International (პანამა), ხოლო დარჩენილი 49% ეკუთვნის LLC AgroBioFert (ამ უკანასკნელის მფლობელები არიან თამაზ ღლონტი და გოჩა ბერაია).
Sarke Information News, *30 სექტემბერი, 2016*

ცხოველის შერეული საკვების საწარმო აშენდა თბილისში
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ცნობით, კომპანია Nutri Max-მა ააშენა შერეული საკვების ქარხანა სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში. ამ მიზნით 30 394 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელიც მდებარეობს ფონიჭალაში, თბილისი, გადაეცა კომპანიას პროგრამის ფარგლებში, აცხადებენ სამინისტროში. Nutri Max-მა დააბანდა 5 მილიონი ლარი ქარხანაში. საწარმომ უნდა აწარმოოს 50 000 ტ ცხოველის, ფრინველის და თევზის მაღალტექნოლოგიური საკვები ყოველწლიურად. სამინისტროში აღნიშნეს, რომ ჰოლანდიური ფირმა Trouw Nutrition იღებს მონაწილეობას ქარხნის მართვაში და წარმოების პროცესში.
Sarke Information News, *23 სექტემბერი, 2016*

სოფლის მეურნეობის სიახლეები - სომხეთი

საჭიროა კოოპერატივების მნიშვნელობის ახსნა ფერმერებისთვის - აცხადებს სოფლის მეურნეობის მინისტრი

სომხეთის სოფლის მეურნეობის მინისტრი იგნატ არაქელიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების პროგრამის მარცხს სომხეთში აკავშირებს იმ ფაქტთან, რომ ფერმერებს არ უნდათ, რომ გაერთიანდნენ და იმუშაონ ერთად, იუწყება „არმენპრესი". მინისტრის თქმით, იმისათვის, რომ პროგრამაში იყოს წინსვლა, აუცილებელია ფერმერებს აუხსნან კოოპერატივების უპირატესობა - თუ რა სარგებელი შეუძლიათ მიიღონ ერთად მუშაობის შემთხვევაში. „თუ იმუშავებენ ერთად, სოფლის მეურნეობა განვითარდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, განვითარება არ იქნება და არ აქვს მნიშვნელობა ვინ იქნება მინისტრი. პრიორიტეტი აქ არის ფერმერის სურვილი. მაგრამ იმისათვის, რომ მას ჰქონდეს სურვილი, მან პირველ რიგში უნდა გაიგოს, რაზეა საუბარი", განაცხადა მინისტრმა. მისი თქმით, როდესაც ფერმერებს სთხოვენ, რომ „შეუერთდნენ კოოპერატივებს" იმის განმარტების გარეშე, თუ რას მისცემს ეს მათ, ეს შედეგს არ მოიტანს. კითხვაზე, თუ რა პირობები უზრუნველყო სახელმწიფომ, რათა ფერმერები დაინტერესდნენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში გაწევრიანებით, მინისტრმა განაცხადა, რომ არსებობს სახელმწიფო დახმარების პროგრამები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა ფერმერისთვის, რომლებიც მუშაობენ კოოპერატივის ფორმით.

Armenpress, 2 ნოემბერი, 2016

ბუნების დაცვის მინისტრი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ეკოტურიზმის განვითარებას სომხეთში

სომხეთის გარემოს დაცვის მინისტრმა არცვიკ მინასიანმა წარმოადგინა პროგრამები, რომლის განხორციელებას სამინისტრო აპირებს უახლოეს მომავალში, იუწყება „არმენპრესი". მინისტრის განცხადებით თანხები სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ არის საკმარისი, რათა გადაიჭრას არსებული პრობლემები სექტორში და სამინისტრო ცდილობს მიიღოს დონორების დახმარება საერთაშორისო ორგანიზაციებიდან. „ჩვენ ველით, რომ დონორი პროგრამების რაოდენობა 40 გახდება და მათ შორის იქნება ასევე მიზნობრივი პროგრამებიც. ჩვენ ვგეგმავთ ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერებას დაცულ ტერიტორიებზე. ვგულისხმობ სუფთა, ეკოლოგიურად სასურველ ეკონომიკურ პოტენციალს, როგორიცაა ეკოტურიზმი და ადეკვატური მომსახურების ორგანიზაცია", განაცხადა მან. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომსახურება, მინისტრის თქმით, არის არსებული რესურსების, როგორიცაა ბუნების ძეგლები, სწორი გამოყენება. „ჩვენ ვგეგმავთ განვახორციელოთ ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივა. ეს არის კერძო სექტორის ჩართვა გარემოსდაცვითი საკითხების გადაწყვეტაში, როგორც ბიზნესის, ისე სოციალური პროგრამის ფორმით. ჩვენი მიზანია, რომ ჩავრთოთ ბიზნესი მნიშვნელოვან დაცულ ტერიტორიებზე იქ, სადაც საჭიროა შეიქმნას კარგი ინფრასტრუქტურა, თუმცა არ არის საკმარისი სახელმწიფო რესურსები მათი შენარჩუნებისა და განვითარებისთვის. აქ საჭიროა საქმეში კერძო სექტორის ჩართვა, რათა მართვა გადაეცეთ მათ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რაც, რა თქმა უნდა, მოხდება გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვით და სახელმწიფოს ექნება ძალა გააკონტროლოს პროცესი, რათა თავიდან აიცილოს დარღვევები და უზრუნველყოს გაუმჯობესება", განაცხადა არცვიკ მინასიანმა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, ნახსენები მინისტრის მიერ, არის რეგიონალური პროექტების განხორციელება საქართველოსა და ირანთან. მან განაცხადა, რომ ეს მნიშვნელოვნად შეცვლის საზოგადოების აზრს გარემოზე. „ჩვენ გვინდა, რომ მივაღწიოთ იმას, რომ ტურისტი, რომელიც თავისუფლად სტუმრობს საქართველოს, ასევე ჩამოვიდეს სომხეთში, დახარჯოს ფული აქ, შემდეგ წავიდეს ირანში და დაბრუნდეს სამშობლოში. თუმცა, ტურისტს უნდა ჰქონდეს სასურველი გარემო დასასვენებლად", განაცხადა მინისტრმა და დასძინა, რომ არსებობს ბევრი პროექტი, რომლის განხორციელებაც დაგეგმილია.

Armenpress, 2 ნოემბერი, 2016

სომხეთი განიხილავს ღვინის ექსპორტს რუსეთში ერთიანი ბრენდის ქვეშ

სომხეთის სოფლის მეურნეობის მინისტრმა იგნატ არაქელიანმა დღეს ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი ბოლო სამუშაო ვიზიტის დროს მოსკოვში განიხილეს რუს კოლეგებთან სომხური ღვინისა და სხვა ალკოჰოლური სასმელების რუსეთის ფედერაციაში ექსპორტის შესაძლებლობა ერთიანი ბრენდით. მან აღნიშნა, რომ სომხეთს ღვინის ბევრი მცირე მწარმოებელი ჰყავს, რომლებსაც ექმნებათ პრობლემა, როდესაც ცდილობენ რუსულ ბაზარზე შესვლას. რუსეთის დიდ მაღაზიებს უნდათ დიდი რაოდენობით ღვინო სტაბილური ხარისხით და მიწოდებით. სომხეთის მცირე და საშუალო ზომის კომპანიები ვერ ახდენენ ამის გარანტირებას. მისი თქმით, ერთიანი ბრენდი ან მომხმარებელი შეიძლება იყოს სომეხი ან რუსი. ის შეძლებს გააკეთოს ერთიანი შეკვეთა ადგილობრივ კომპანიებში და შემდეგ გაიტანოს პროდუქცია რუსულ კომპანიებთან შეთანხმების შესაბამისად „ეს მოითხოვს კონსოლიდირებულ შეთანხმებას სომხური კომპანიებისგან. თუ ისინი დათანხმდებიან, ჩვენ მზად ვართ გავაგრძელოთ დისკუსია ამ საკითხზე“, განაცხადა არაქელიანმა. სომხეთის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (NSS) ცნობით, სომხეთის კონიაკის წარმოება 2016 წლის პირველ რვა თვეში გაიზარდა 29,3%-ით, დაახლოებით 11,5 მილიონი ლიტრით. ღვინის წარმოება გაიზარდა 8,4%-ით 3,8 მილიონ ლიტრამდე, ხოლო არყის წარმოება დაეცა 7,9%-ით დაახლოებით 5,2 მილიონ ლიტრამდე, ვისკის წარმოება თითქმის გაორმაგდა 1 მილიონ ლიტრამდე. შამპანურის წარმოება საანგარიშო პერიოდში გაიზარდა 12,8%-ით 253 900 ლიტრამდე. ლუდის წარმოება დაეცა 11%-ით 14,4 მილიონ ლიტრამდე და უალკოჰოლო სასმელების წარმოება დაეცა 8,8%-ით 46,3 მილიონ ლიტრამდე.

Armenpress, 13 ოქტომბერი, 2016

სომხეთის ფარმაცევტულ სექტორში დაფიქსირდა 20% წლიური ზრდა ბოლო 5 წლის განმავლობაში

სომხეთის ფარმაცევტული ინდუსტრიის საინვესტიციო შესაძლებლობები, სამრეწველო სიმძლავრეები და პერსპექტიული სფეროები განხილულ იქნა თემატური სესიის ფარგლებში „სომხეთის საინვესტიციო ფორუმი 2016“ ნიუ-იორკში. როგორც „არმენპრესს“ აცნობეს, სომხეთის განვითარების ფონდის პრეს სამსახურიდან, სომხეთის ჯანდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე სერგეი ხაჩატრიანმა მოაწყო გაფართოებული პრეზენტაცია. „სომხეთის ფარმაცევტული სექტორი ერთ-ერთი ყველაზე დინამიურად განვითარებადი სექტორია სომხეთში და ბოლო წლებში სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება ქვეყნის ეკონომიკისთვის. ასეთი წარმატების მიზეზებია მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და კვლევების ინოვაციური ტექნოლოგიები. ფარმაცევტული სექტორი გახდა სტრატეგიული მნიშვნელობის სომხეთის რესპუბლიკის ეკონომიკისთვის მზარდი საექსპორტო პოტენციალის და საინვესტიციო მიმზიდველობის წყალობით. წარმოების მოცულობა სომხეთის ფარმაცევტულ სექტორში გაიზარდა 1 მილიონი აშშ დოლარიდან 15 მილიონ აშშ დოლარამდე ბოლო ათწლეულის განმავლობაში, რაც უზრუნველყოფს 20%-იან ზრდას უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში. სომხეთის ფარმაცევტული ინდუსტრიის საერთო პროდუქციის ნახევარზე მეტი ექსპორტზე გადის და წლიური ზრდა 20%-ია და მოგების მატების, სახელმწიფო პოლიტიკის და საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების წყალობით, რეგულარული ზრდაა მოსალოდნელი. ქვეყნის შიდა ბაზარი შეიძლება იყოს მცირე, მაგრამ სომხეთს აქვს გამარტივებული ხელმისაწვდომობა მეზობელი ქვეყნების, დსთ და ახლო აღმოსავლეთის ბაზრებზე“, ნათქვამია ფარმაცევტული სექტორის ანგარიშში. Fountain Medical Development-ის აღმასრულებელმა დირექტორმა Dan Zhang-მა (მე-3 ყველაზე დიდი კომპანია ჩინეთში) სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, „ჩემი გადაწყვეტილება 2 წლის წინ სომხეთში შესვლის თაობაზე გახდა საკამათო საკითხი ჩემს პარტნიორებს შორის, მაგრამ ახლა ჩვენი კომპანია გაფართოვდა და თანამშრომლების რაოდენობა გაიზარდა 1-დან 85-მდე. ჩვენ ვატარებთ ათობით კვლევებს, ჩვენი შესაძლებლობები იზრდება და ჩვენ ვგეგმავთ, რომ კვლევების რაოდენობა გავზარდოთ 400-მდე“. სხდომის მონაწილეებს დაურიგდათ ბროშურები, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას კანონმდებლობის და ფარმაცევტული ინდუსტრიის პერსპექტიული სფეროების შესახებ.

Armenpress, 12 ოქტომბერი, 2016

სომხეთის მეფრინველეობის ფაბრიკა გამოცხადდა გამარჯვებულად „საუკეთესო ხარისხის“ კატეგორიაში რუსეთში

წელს რუსეთის მომხმარებელთა უფლებების დაცვის ეროვნულმა კავშირმა გამოაცხადა, რომ სომხეთის არაქსის მეფრინველეობის ქარხნის ქათამის ხორცი გახდა გამარჯვებული „საუკეთესო ხარისხის“ კატეგორიაში. არაქსის მეფრინველეობის ქარხანა არის ერთადერთი კომპანია სომხეთში, რომელმაც მიიღო ფრინველის ხორცის ექსპორტის უფლება საბაჟო კავშირის სხვა ქვეყნებში და მეზობელ საქართველოში. ფრინველის ქარხანა აწარმოებს კვერცხსა და ქათმის ხორცს.

Armenpress, 11 ოქტომბერი, 2016

ტენდერები და განცხადებები

ტენდერი: კონსალტინგი, შედეგების შეფასება (სოფლის მეურნეობა)

ქვეყანა: საქართველო
ჩაბარების ვადა: 11.11.2016
დაფინანსება: სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)
მიმართვის ნომერი: IFAD/2016/044/RFP
თემა: ზემოქმედების შეფასების სამსახურების უზრუნველყოფა საქართველოში.
გათვალისწინებულია: საქართველოში IFAD-ის მიერ დაფინანსებული სოფლის მეურნეობის დახმარების პროგრამის შედეგების შეფასება.
დეტალური ინფორმაცია იხილეთ აქ:

www.dwvg.ge

გამოცემები და სხვა

Business & Finance Consulting (BFC)-ის საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი, 2016 წლის 2016 წლის ოქტომბრის #50 გამოცემა

საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი წარმოადგენს რეგულარულ სიახლეებს ინვესტიციების და ფინანსური ნაკადების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობაში. გამოცემას გაეცანით ამ ბმულზე.

http://agrogeorgia.blog.com/

ევროკავშირ/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენი

ევროკავშირი/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენის ბოლო გამოცემა ხელმისაწვდომია. იხილეთ ამ ბმულზე:

http: eeas.europa.eu/delegations/georgia/.

ENPARD: ახალი ამბები სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამიდან

სიახლეები იხ. ამ ბმულზე: **www.enpard.ge**

სურსათის უვნებლობის და ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო

Physikalisch-Technische Bundesanstalt-ს (PTB) და GIZ კერძო სექტორის განვითარების პროგრამა - სამხრეთ კავკასიის (PSD SC) ერთობლივი მხარდაჭერით გამოიცა სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სახელმძღვანელო - თხილის ნაწილი. სახელმძღვანელო მოიცავს ინფორმაციას სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ ღირებულებათა ჯაჭვის ყველა მონაწილისთვის - ფერმერები, მოსავლის ამღებები, გადამამუშავებლები და მოიცავს ინფორმაციას ხარისხის ინფრასტრუქტურის დაწესებულებების ყველა ფუნქციის და სამსახურის შესახებ. სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

www.nfa.gov.ge/files/images/

DWV & AGRICULTURE

თუ ეძებთ ინფორმაციას იმ კომპანიების შესახებ, რომლებიც საქმიანობენ სოფლის მეურნეობის და კვების დარგებში, იხილეთ ცნობები და ჩვენი წევრების საკონტაქტო მონაცემები ამ ბმულზე:
www.dwvg.ge

Agro & Food Up-to-Date

Agro & Food-ის ყოველდღიურად განახლებადი ინფორმაცია იხილეთ ჩვენს ვებსაიტებზე.
http://georgien.ahk.de/georgien/newsletter/agro-food-news-georgia/
http://georgien.ahk.de/armenien/newsletter/agro-food-news-armenia/